დავაკვირდეთ და შევისწავლოთ ფრინველები

მოამზადა რუსუდან თედორაძემ

შესავალი

მსოფლიოში დაახლოებით 10 000 სხვადასხვა სახეობის ფრინველია. ზოგიერთი მათგანის სანახავად შორს წასვლა არ არის საჭირო. ფრინველები ცხოვრობენ ტყეებში, ეზოებსა და პარკებში, მათი პოვნა ხალხმრავალ ქალაქშიც კი შეიძლება! იმის გასაგებად თუ რა სახის ფრინველები ცხოვრობენ თქვენს სამეზობლოში, ამოიცნოთ ისინი და დააკვირდეთ მათ ქცევას,დაგეხმარებათ შემოთავაზებული აქტივობა. ამ აქტივობაში თქვენ შექმნით საკვებურს ფრინველების მოსაზიდად, რათა შეძლოთ მათზე დაკვირვება და ქცევების შესწავლა.

საჭირო მასალები :

პლასტმასის რძის/წვენის თავსახურიანი კონტეინერი; მაკრატელი ან დანა; ხის ტოტი ან ხის პატარა მრგვალი ჩხირი; მინი ჭიქა(ები); წყალი; ქაღალდის თეფში/თეფშები; სხვადასხვა მცენარის თესლი (მაგ. მზესუმზირა, ხორბალი,ბრინჯი და სხვა); საიოზოლაციო წებოვანი ლენტი. საკვებურის დეკორაციად (გასაფორმებლად) შესაძლოა გამოიყენოთ: ხის ქერქი, ნიჟარები, ქვები, სტიკერები და ა.შ.

შენიშვნა: *დარწმუნდით, რომ ფრინველის საკვებურის გასაფორმებლად გამოყენებული ნებისმიერი მასალა უსაფრთხოა ფრინველებისთვის. თუ შესაძლებელია, გამოიყენეთ რაც შეიძლება მეტი ბუნებრივი მასალა.*

მოსამზადებელი სამუშაოები- რძის ან წვენის კონტეინერი კარგად გარეცხეთ თბილი წყლითა და საპნით, შემდეგ კი გააშრეთ.

საკვებურის დამზადება:

ნაბიჯი1.

შერჩეული კონტეინერის ერთ მხარეს,ძირიდან დაახლოებით 7-10 სმ-ის დაშორებით უნდა გააკეთოთ ცოტა მოზრდილი ზომის ოვალური ჭრილი ან ნახვრეტი, (შეგიძლია დახმარება უფროსებს სთხოვო).

ნაბიჯი2. ღიობის ბასრი კიდეები წებოვანი ლენტით დაფარეთ, რათა ჩიტები საკვებურში შესვლისას არ დაშავდნენ.



ნაბიჯი 3

ღიობის ქვეშ პატარა ხვრელი გაჭერით და ჩადეთ ჩიტების ჩამოსაჯდომის გასაკეთებლად ხის ჯოხი ჩიტების ჩამოსაჯდომის გასაკეთებლად. ჯოხი წებოთი დაამაგრეთ.



ნაბიჯი 4

საკვებურის შიდა კედლებზე მიაწებეთ პატარა ჭიქები წყლისთვის და თეფში საკვებისთვის.

ნაბიჯი 5

კონტეინერის ღიობის/თავსახურის გვერდით, მოპირდაპირე მხარეს ორი ნახვრეტი გააკეთეთ. შემდეგ ნახვრეტებში გაატარეთ ძაფი ან თოკი და ბოლოები კვანძად შეკარით, რომ გაკეთდეს სახელური.



ნაბიჯი 6

სამუშაოს დასრულების შემდეგ, დაიწყეთ ჩიტების საკვებურის მორთვა ან შეღებვა. დარწმუნდით, რომ ყველა მასალა უსაფრთხოა ჩიტებისთვის. კარგი არჩევანია ბუნებრივი მასალები, როგორიცაა კენჭები, ნიჟარები, ხის ქერქი და ა.შ.

კვლევა 1 -როგორი დეკორაცია იქნება საუკეთესო ფრინველების მოსაზიდად?

მეგობრებთნ ერთად ააგეთ რამდენიმე საკვებური და თითოეული მორთეთ სხვადასხვა ფერით. ჩამოკიდეთ ისინი ხეებზე და დააკვირდით, რამდენი ფრინველი მოდის თითოეულ საკვებურთნ. არის თუ არა გარკვეული ფერი, რომელიც ფრინველებს უფრო მეტად იზიდავს? შეადარეთ ფრინველების ტიპები, რომლებიც თქვენს საკვებურთნ მოდიან. დააკვირდით მათ ზომას, ფორმას ან ქცევას. რით განსხვავდებიან ან ჰგვანან ისინი ერთმანეთს? გაიგეთ მეტი იმ ფრინველების შესახებ, რომლებიც თქვენს საკვებურთან მოდიან. რით იკვებებიან ჩვეულებრივ? სად იკეთებენ ბუდეებს? ჩვეულებრივი ფრინველები არიან თუ გადაშენების პირას მყოფი? შექმენით პრეზენტაცია ფრინველის ერთი კონკრეტული სახეობის შესახებ, რომელშიც მოცემული იქნება თქვენს მიერ მოძიებული ყველა საჭირო ინფორმაცია.

კვლევა 2

ფრინველების საკვებურში თეფშზე დაყარეთ სახვადასხვა სახის მარცვლეული და მინი ჭიქა შეავსეთ წყლით. საკვებური შეგიძლიათ მოათავსოთ მაგალითდ, მაგიდაზე ან ხეზე ჩამოკიდოთ. დააკვირდით ფრინველებს, რომლებიც საკვებურთნ მოდიან. დაფიქრდით: როგორ გამოიყურებიან ფრინველები, რომლებიც თქვენს საკვებურთან მოდიან? შეგიძლიათ რომელიმე ფრინველის ამოცნობა, გარეგნობით ან გალობით გარჩევა? აუცილებლად გაითვალისწინეთ,

რომ რამოდენიმე დღე შეიძლება თქვენ ვერ შენიშნოთ ჩიტები თქვენ საკვებურთან, ეს იმიტომ ხდება, რომ ფრინველები ჯერ უნდა შეეჩვიონ საკვებურს და დარწმუნდნენ, რომ ის მათთვის უსაფრთხოა. ასევე კარგი იქნება თუ დაკვირვებისათვის გამოიყენებ ბინოკლს და ცნობარს ფრინველების შესახებ, მაშინ შენ ადვილად შეძლებ ზოგიერთი ფრინველის ამოცნობას/იდენტიფიცირებას. თუ რომელი ფრინველი ცხოვრობს თქვენ საცხოვრებელთან ახლოს დამოკიდებულია საცხოვრებელ ტერიტორიაზე. დედამიწის სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ფრინველი ბინადრობს.

კვლევა 3

დამატებითი კვლევისთვის გარდა იმისა, რომ თქვენს სამეზობლოში ფრინველების საკვებურების გამოყენებას შეძლებთ, ასევე შეგიძლიათ გაარკვიოთ, თუ რა სახის საკვები მოსწონთ ამ ფრინველებს ყველაზე მეტად. ფრინველის თესლის ნარევის ნაცვლად, საკვებურში მხოლოდ ერთი სახეობის თესლი ჩაყარეთ. მაგალითად, შეგიძლიათ სცადოთ: მზესუმზირის, ფეტვის ან სიმინდის თესლი. შემდეგ დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში დააკვირდით საკვებურს, რათა ნახოთ, რომელი ფრინველები სტუმრობენ. მომდევნო კვირას, შეცვალეთ საკვებურში თესლი და კვლავ დააკვირდით ფრინველებს, რომლებიც თქვენს საკვებურთან მოდიან. ამ გზით გამოსცადეთ რამდენიმე სხვადასხვა თესლი და თქვენ გამოიკვლევთ რომელი თესლია ფრინველებში ყველაზე პოპულარული? ზოგიერთი სახეობის ფრინველი რომელ კონკრეტულ თესლს ანიჭებს უპირატესობას და ა.შ .